

სახელი, გვარი, ტელეფონი

სკოლა

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება



1) ქვემოთ მოცემული გამოსახულებებიდან რომლის პასუხია დანარჩენების პასუხებისგან განსხვავებული?

- 1) $4 \times 9 =$ 2) $6 \times 6 =$ 3) $108 : 3 =$ 4) $36 \times 0 =$

2) ორ გუნდს შორის საფეხბურთო მატჩი 3 ბურთის სხვაობით დასრულდა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა ანგარიშით არ შეიძლება დასრულებულიყო ეს შეხვედრა?

- 1) $3 : 0$ 2) $7 : 4$ 3) $11 : 8$ 4) $5 : 1$

3) პატარა კასრში 22 ლიტრი ღვინოა, დიდში 9-ჯერ მეტი. რამდენი ლიტრით მეტი ღვინოა დიდ კასრში პატარასთან შედარებით?

- 1) 198-ით 2) 176-ით 3) 188-ით 4) 166-ით

4) ქვემოთ მოცემული რომელი გამოსახულების პასუხი არ არის სამნიშნა რიცხვი?

- ა) $7 \times 100 + 8 \times 10 + 27 = ?$ ბ) $9 \times 100 + 7 \times 10 + 23 = ?$
 გ) $7 \times 10 + 9 \times 10 + 15 = ?$ დ) $9 \times 100 + 8 \times 10 + 20 = ?$

- 1) „ბ“ მაგალითის 2) „დ“ მაგალითის 3) „გ“ მაგალითის
 4) „ა“, „ბ“ და „გ“ მაგალითების

5) რამდენი ისეთი რიცხვი არსებობს, რომლის ციფრთა ჯამიც ორის ტოლია?

- 1) ერთი 2) ორი 3) ასი 4) უამრავი

ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება



6) რა რიცხვზე უნდა გავამრავლოთ 7-ის წინა რიცხვი, რომ მივიღოთ ასის განახევრების შედეგად მიღებულ რიცხვზე 2-ით ნაკლები რიცხვი?

- 1) 6-ზე 2) 8-ზე 3) 14-ზე 4) 48-ზე

7) ქვემოთ მოცემულია მცდარი ტოლობები. რომელ მათგანში უნდა წავშალოთ ფრჩხილები, რომ მივიღოთ ჭეშმარიტი (სწორი ტოლობა)?

- 1) $4 \times (8 - 3) = 35$ 2) $85 - (16 + 17) = 84$ 3) $12 + (8 - 5) \times 2 = 30$ 4) $3 \times (12 + 9 : 3) = 39$

8) მასწავლებელმა დაფაზე დაწერა 2-სა და 60-ს შორის მოთავსებული ყველა ლუწი რიცხვი. რამდენჯერ დაწერა მასწავლებელმა ციფრი ოთხი?

- 1) 16-ჯერ 2) 15-ჯერ 3) 11-ჯერ 4) 10-ჯერ

9) კატომ და სანდრომ ტყეში რამდენიმე სოკო იპოვეს. ნაპოვნი სოკოებიდან 8 შხამიანი აღმოჩნდა და გადაყარეს, დანარჩენი კი – ოთხ ცარიელ ქილაში თანაბრად გაანაწილეს. რამდენი სოკო ჩაუწყვიათ თითოეულ ქილაში, თუ მათ სულ 32 სოკო იპოვეს?

- 1) ექვსი 2) შვიდი 3) რვა 4) ათი

10) ქვემოთ მოცემული რომელი გამოსახულებით ამოიხსნება ამოცანა:

„ვიას 18 ლარი აქვს, მაიას 12 ლარი, ნინოს – 2 ლარი. რამდენი ლარით მეტი აქვს ვიას, ვიდრე მაიას და ნინოს ერთად?“


- 1) $18 + (12 + 2)$ 2) $18 + (12 - 2)$ 3) $18 - (12 + 2)$ 4) $18 - 12 + 2$

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) რამდენი ოთხკუთხედია გამოსახული მოცემულ ნახაზზე?

- 1) სამი 2) ოთხი 3) ხუთი 4) ექვსი



12) სკოლის ბანკეტისთვის 3 ცალი ერთნაირი ტორტი და 50 ცალი ერთნაირი ნამცხვარი გამოაცხეს. ბანკეტის სტუმართა რაოდენობაა 80. ყველაზე ცოტა რამდენ ნაჭრად უნდა დაიჭრას თითოეული ტორტი, თუ ცნობილია, რომ ბანკეტის თითოეულმა სტუმარმა აუცილებლად უნდა შეჭამოს ან მხოლოდ ტორტის 1 ნაჭერი, ან მხოლოდ 1 ნამცხვარი?

- 1) 30 ნაჭრად 2) 3 ნაჭრად 3) 10 ნაჭრად 4) 15 ნაჭრად

13) კონკურსის მონაწილეს სწორად ამოხსნილი ყოველი ამოცანისათვის ეწერება 5 ქულა, ხოლო არასწორად ამოხსნილი ყოველი ამოცანისათვის აკლდება 3 ქულა. რამდენ ქულას დააგროვებდა კონკურსის მონაწილე, თუ მან ათი ამოცანიდან 7 ამოცანა სწორად ამოხსნა, ხოლო 3 ამოცანა – არასწორად?

- 1) 44 2) 35 3) 32 4) 26

14) პატარა გიორგის სიმაღლეა 7 დმ და 6 სმ. რამდენით უნდა მოიმატოს გიორგიმ სიმაღლეში, რომ იგი 1 მეტრი გახდეს?

- 1) 24 დმ 2) 3 დმ და 4 სმ 3) 14 სმ 4) 2 დმ და 4 სმ

15) თომას მხოლოდ 81 ლარი ჰქონდა. მან 25 ლარი ხუთეთერიანებად დაახურდავა, 56 ლარი კი ათეთერიანებად. თომას ხუთეთერიანები უფრო მეტი აქვს, თუ ათეთერიანები?

- 1) ხუთეთერიანები 2) ათეთერიანები 3) ერთნაირად 4) ამის გაგება შეუძლებელია

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) ერთ-ერთი თვის მეორე შაბათი დღე უდიდესი ერთნიშნა რიცხვია. რა რიცხვია აღნიშნული თვის მეოთხე შაბათი დღე?

- 1) 9 2) 16 **3) 23** 4) 30

17) რიცხვში 72491 რომელი ორი ციფრი უნდა წავშალოთ, რომ დარჩეს რაც შეიძლება დიდი სამნიშნა რიცხვი? (დარჩენილი ციფრების გადაადგილება არ შეიძლება)

- 1) 4 და 1 2) 2 და 1 **3) 2 და 4** 4) 7 და 1

18) ერთი პორცია სალათის მოსამზადებლად საჭიროა 3 კიტრი და 2 პომიდორი. რამდენი პორცია სალათის მომზადებაა შესაძლებელი, თუ გვაქვს 18 კიტრი და 10 პომიდორი?

- 1) 5 პორციის** 2) 6 პორციის 3) 7 პორციის 4) 8 პორციის

19) რესტორანში რამდენიმე სამფეხა და რამდენიმე ოთხფეხა სკამი დგას. ცნობილია, რომ ყველა სკამს ერთად 29 ფეხი აქვს და ასევე ცნობილია, რომ სამფეხა სკამები უფრო მეტია, ვიდრე ოთხფეხა სკამები. რამდენი სამფეხა სკამი დგას რესტორანში?

- 1) სამი **2) შვიდი** 3) რვა 4) ცხრა

ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება




20) ერთლარიანებისა და ორლარიანების გამოყენებით რამდენი განსხვავებული ხერხით შეიძლება 10 ლარის მიღება? (გაითვალისწინეთ, რომ 10 ლარის მიღებისას აუცილებლად უნდა გამოიყენოთ ორივე კუპიურა)

- 1) სამი **2) ოთხი** 3) ხუთი 4) ექვსი

21) მოცემულია ტოლფეხებისანი ბადე. რას უდრის K და M წერტილების შემაერთებელი ტეხილის სიგრძე, თუ ABCD კვადრატის პერიმეტრია 32 სანტიმეტრი?

- 1) 16 სმ-ს** 2) 14 სმ-ს 3) 10 სმ-ს 4) 8 სმ-ს



22) ცნობილია, რომ მართკუთხედის პერიმეტრი ნაკლებია 30 სმ-ზე და ასევე ცნობილია, რომ სიგრძე და სიგანე კენტი რიცხვებია. ქვემოთ მოცემულთაგან რომელი შეიძლება იყოს მართკუთხედის სიგრძე და სიგანე?

- 1) 14 სმ და 1 სმ 2) 12 სმ და 2 სმ 3) 11 სმ და 19 სმ **4) 11 სმ და 3 სმ**

23) ქვემოთ მოცემული რიცხვები როდესაც დააღაგეს ზრდადობით, მაშინ მარცხნიდან პირველი აღმოჩნდა რიცხვი 387, ხოლო როდესაც დააღაგეს კლებადობით, მაშინ მარცხნიდან პირველი აღმოჩნდა რიცხვი 887. მოცემული რიცხვებიდან რომელია ის რიცხვი, რომელიც რიცხვების როგორც ზრდადობით, ასევე კლებადობით დალაგებისას, ერთი და იმავე ადგილზე აღმოჩნდა?

873; 387; 837; 887; 738; 388; 783

1) 873

2) 837

3) 738

4) 783

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება



24) მაგიდაზე წითელი, ყვითელი და მწვანე თითო-თითო ბურთი იდო. ნოდარმა და ლევანმა მაგიდიდან თითო-თითო ბურთი აიღეს. ნოდარს არ აუღია არც ყვითელი და არც წითელი ბურთი, ლევანს კი არ აუღია მწვანე ბურთი. რა ფერის ბურთი აიღო ლევანმა?

1) წითელი

2) ყვითელი

3) მწვანე

4) ამის გაგება შეუძლებელია

25) ბებიას ზუსტად იმდენი ლარი აქვს, რომ შეუძლია შეიძინოს 16 მეტრი ძაფი, რომლის ერთი მეტრი 3 ლარი ღირს. მაქსიმუმ (ყველაზე ბევრი) რამდენი მეტრი ძაფის ყიდვას შეძლებს ბებია, თუ ძაფის ფასი 1 ლარით მოიმატებს?

1) 4 მეტრის

2) 9 მეტრის

3) 12 მეტრის

4) 24 მეტრის

26) გოგონები და ბიჭები სამ გუნდში არიან განაწილებულნი. პირველ გუნდში 5 გოგონაა, მეორეში – 3, ხოლო მესამეში – 6. თითოეულ გუნდში გოგონები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ბიჭები. ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან რამდენი ბიჭი ვერ იქნება სამივე გუნდში ერთად, თუ ცნობილია, რომ მეორე გუნდში უფრო მეტი ბიჭია, ვიდრე პირველში?

1) ექვსი

2) შვიდი

3) რვა

4) ცხრა

27) ნიკა ამოცანას ხსნიდა. როდესაც ამოხსნა დაამთავრა, დაიძახა: – მე მივიღე სამნიშნა რიცხვი ას ოცდა . . . და გაჩერდა, პასუხი ბოლომდე არ თქვა. მინიმუმ რამდენი განსხვავებული ვარიანტი უნდა ჩამოვწეროთ, რომ მათ შორის აუცილებლად იყოს ნიკას მიერ მიღებული პასუხი?

1) თვრამეტი

2) ცხრამეტი

3) ოცი

4) ამის გაგება შეუძლებელია

28) რვა ბავშვი A და B გუნდად გაიყო. ცნობილია, რომ A გუნდში უფრო მეტი ბავშვია, ვიდრე B გუნდში. ასევე ცნობილია, რომ თითოეულ გუნდში იმდენი გოგონაა, რამდენიც ბიჭი. რამდენი გოგონაა A გუნდში?

1) ერთი

2) სამი

3) ოთხი

4) ექვსი

29) ვასოს უფლება აქვს ნებისმიერი ორი ერთნიშნა რიცხვი ერთმანეთზე გაამრავლოს და მიღებულს გამოაკლოს რიცხვი 1. ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომლის მიღებას ვერ შეძლებს ვასო?

1) 20

2) 19

3) 18

4) 17

